რეგულაცია

მოთამაშეთა სტატუსი, კონტრაქტები, ტრანსფერი და რეგისტრაცია

2024-2025 წლის სათამაშო სეზონი

მუხლი 1. მოთამაშეთა სტატუსი და კონტრაქტები

1.1. მოთამაშეს უფლება აქვს მიიღოს მატერიალური სარგებელი სრკ-ს და/ან სრკ-ს წევრი სუბიექტებისგან;
1.2. სრკ-ს წევრი სუბიექტისგან მატერიალური სარგებელის მიმღებ ყველა მოთამაშეს უნდა ჰქონდეს წერილობითი შეთანხმება (კონტრაქტი) გაფორმებული ამ კავშირის წევრ სუბიექტთან.
1.3. სრკ-ს წევრ სუბიექტსა და მოთამაშის შორის გაფორმებული კონტრაქტი ეფექტურობას იძენს სრკ-ს ფარგლებში თუ:

ა) შეთანხმებულია შესაბამის მხარეებს შორის;

ბ) წინასწარ განსაზღვრულია კონტრაქტის მოქმედების პერიოდი, კონტრაქტის მოქმედების ვადა არ უნდა იყოს 1 (ერთი) საშეჯიბრო სეზონზე ნაკლები

და

გ) შედგენილია კავშირის მიერ დამტკიცებული შესაბამისი კონტრაქტის ფორმით.

ჩამოთვლილი პირობების შესაბამისად გაფორმებული კონტრაქტის ასლი მიწოდებული უნდა იქნას სრკ-სთვის (მოთამაშის რეგისტრაციისას) და მოთხოვნის შემთხვევაში წარედგინოს მსოფლიო რაგბს. კონტრაქტში შესული ცვლილებები ექვემდებარება სავალდებულო რეგისტრაციას სრკ-ში ასეთი ცვლილების განხორციელებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში.

1.4. სრკ-ს წევრმა სუბიექტებმა უნდა გამოიყენონ მხოლოდ სრკ-ს მიერ დამტკიცებული კონტრაქტის ფორმა (ფინანსური საკითხების გამოკლებით) სრკ-ს მიერ ორგანიზებულ შეჯიბრებებში მოთამაშის მონაწილეობის უფლების მოსაპოვებლად.
1.5. მხოლოდ სრკ-ს მიერ დამტკიცებული კონტრაქტის ფორმის მიხედვით შედგენილი კონტრაქტის მქონე მოთამაშეებს აქვთ უფლება მონაწილეობა მიიღონ სრკ-ს მიერ ორგანიზებულ შეჯიბრებებში.
1.6. არცერთ სრკ-ს წევრ სუბიექტს არ აქვს უფლება გააფორმოს ისეთი კონტრაქტი და/ან ნებისმიერი შეთანხმება, რომელიც ხელს უწყობს მესამე მხარეს მოიპოვოს რაიმე სახის ზეგავლენა და/ან კონტროლი მოთამაშის ურთიერთობაზე იმ სრკ-ს წევრ სუბიექტთან მიმართებაში, რომელშიც ეს მოთამაშეა რეგისტრირებული.
1.7. სრკ-ს მიერ ორგანიზებულ შეჯიბრებაში მონაწილეობის მიღება შეუძლია მხოლოდ იმ მოთამაშეს რომელსაც გააჩნია აქტიური რეგისტრაცია ამ კავშირში.
1.8. სრკ-ში აქტიური რეგისტრაციის მქონე მოთამაშეს, რომელიც იღებს ან იღებდა მატერიალურ სარგებელს, ენიჭება კონტრაქტის მქონე (შემდგომში–პროფესიონალი მოთამაშე) მოთამაშის სტატუსი. სხვა ყველა მოთამაშეებს აქვთ –მოყვარული მოთამაშეს სტატუსი.

1.9. მოთამაშეს არ შეიძლება ჰქონდეს ორმაგი რეგისტრაცია სანამ ის არ კვალიფიცირდება როგორც „სტუდენტი“(სრულწლოვანი) ან „სამხედრო მოსამსახურე“ და აქვს სრკ-ს წინასწარი წერილობითი ნებართვა ორმაგ რეგისტრაციაზე. ასეთი მოთამაშეების სტატუსი განისაზღვრება როგორც „სტუდენტი“ ან „სამხედრო მოსამსახურე“ (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

1.10. ამ რეგულაციის **1.9** პუნქტის თანახმად, სრკ-ს აქვს სრული უფლება შეხედულებისამებრ უარი უთხრას „სტუდენტს“ ან „სამხედრო მოსამსახურეს“ ორმაგ რეგისტრაციაზე. მხოლოდ მოთამაშეს რომელიც არის „სტუდენტი“ ან „სამხედრო მოსამსახურე“ აქვს უფლება მიმართოს სრკ-ს ორმაგ რეგისტრაციაზე. იმ შემთხვევაში თუ „სტუდენტს“ ან „სამხედრო მოსამსახურეს“ სრკ-მ მისცა ორმაგი რეგისტრაციის უფლება:

ა) ორმაგი რეგისტრაცია არ მოიცავს ამ რეგულაციის მე-4 მუხლის პუნქტებით გათვალისწინებულ განთავისუფლების ცნობის პირობებს და უნდა იყოს :

(i) არაუმეტეს 12 თვის პერიოდით; და

(ii) სტანდარტული ორმაგი რეგისტრაციის ფორმით შევსებული.

ბ) სრკ-ს წევრი სუბიექტი იტოვებს ყველა უფლებას მოთამაშესთან მიმართებაში, მათ შორის (და არ არის ლიმიტირებული), მოითხოვოს კომპენსაცია ამ რეგულაციის მე-6 მუხლის პუნქტების შესაბამისად.

1.11. სრკ-ს/სრკ-ს წევრი სუბიექტის დატოვებისას, მოთამაშე არ განიხილება როგორც პროფესიონალი მოთამაშე თუ მას ეს სტატუსი არ გააჩნდა ამ კავშირის წევრ სუბიექტში რეგისტრაციის დროს.

1.12. სრკ აწარმოებს მის იურისდიქციის ქვეშ მყოფი ყველა პროფესიონალი მოთამაშის რეესტრს და მოთხოვნისას უზრუნველყოფს მსოფლიო რაგბს ამ რეესტრზე წვდომით ან აწვდის სარეგისტრაციო დოკუმენტაციის ასლებს.

1.13. არცერთ სრკ-ს წევრ სუბიექტს არ აქვს უფლება გააფორმოს რაიმე სახის კონტრაქტი და/ან შეთანხმება, რომელიც ითვალისწინებს მატერიალური სარგებელის მიღებას, ნებისმიერ მოთამაშესთან, ვიდრე:

ა) მოთამაშე არ მიაღწევს არსებული იურისდიქციის ფარგლებში განსაზღვრული სრულწლოვანობის ასაკს 18 წელს; ან

ბ) არასრულწლოვანი მოთამაშეების შემთხვევაში, რომლებიც არიან 16 წლის და ზემოთ, მატერიალური სარგებელი განსაზღვრულია როგორც არაანაზღაურებადი ფინანსური გრანტი მოთამაშის აკადემიური და/ან პროფესიონალურ-ტექნიკური განვითარებისათვის 12 და მეტი თვის ვადით.

1.14. სრკ უფლებამოსილია დააწესოს შესაბამისი რეგულაციები არასრულწლოვანი მოთამაშეების რეგისტრაციისა და განვითარებისთვის საკუთარი იურისდიქციის ფარგლებში.

1.15. სრკ-ს მიერ, ამ რეგულაციის **1.14** პუნქტით განსაზღვრული, დაწესებული რეგულაციები მოთხოვნის შემთხვევაში უნდა წარედგნოს მსოფლიო რაგბს.

მუხლი 2. მოთამაშეთა ტრანსფერი

2.1 მოთამაშე, რომელიც ტოვებს ან გეგმავს დატოვოს სრკ-ს წევრი სუბიექტი, სრკ-ს სხვა წევრ სუბექტში გადასვლისა და იქ თამაშის მიზნით, არ უნდა იყოს რეგისტრირებული ან უფლებამოსილი მიიღოს მონაწილეობა სრკ-ს მიერ ორგანიზებულ შეჯიბრებებში მანამდე, სანამ ახალი სრკ-ს წევრი სუბიექტი ამ რეგულაციით დადგენილი წესით არ დაარეგისტირებს მოთამაშეს. *(იხილეთ ამ რეგულაციის მუხლი 4. - მოთამაშეთა რეგისტრაციის პროცედურა).*

2.2 სრკ-ს წევრი სუბიექტი უფლებამოსილია უარი განაცხადოს მოთამაშის განთავისუფლების ცნობის გაცემაზე, თუ მოთამაშეს გააჩნია შეუსრულებელი, კონტრაქტით გათვალისწინებული, ვალდებულებები.

2.3 განთავისუფლების ცნობასთან დაკავშირებულ დავებს იხილავს სრკ-ს სადისციპლინო სამსახური.

2.4 სატრანსფერო პერიოდის განმავლობაში სრკ-ს მიერ ორგანიზებულ კაცთა ერთი და იგივე ლიგაში მონაწილე ერთ კონკრეტულ კლუბში (გუნდში) ნებადართულია მეორე კონკრეტული კლუბიდან (გუნდიდან) არაუმეტეს სამი (3) მოთამაშის ტრანსფერი. გამშვებ და მიმღებ კლუბებს (გუნდებს) შორის წერილობითი შეთანხმების შემთხვევაში, ნებადართულია დამატებით ორი (2) მორაგბის ტრანსფერი. დადგენილ ლიმიტი არ მოქმედებს იმ შემთხვევაში, თუ მოთამაშეთა გადაადგილება ხდება მაღალი ლიგიდან დაბალ ლიგებში.

მუხლი 3. სატრანსფერო პერიოდი

3.1 სატრანსფერო პერიოდი არის დროის შუალედი, როდესაც ხორციელდება სრკ-ს მიერ მოთამაშის რეგისტრაცია და/ან აქტიური რეგისტრაციის გაუქმება.

3.2 ტრანსფერები იყოფა შიდა და საერთაშორისო ტრანსფერებად.

3.3 შიდა სატრანსფერო პერიოდში შესაძლებელია მოთამაშ(ეებ)ის, სრკ-ს წევრ სუბიექტ(ებ)ს შორის გადაადგილება.

3.4 შიდა სატრანსფერო პერიოდი განისაზღვროს:

ა) დიდი 10 - **2024 წლის 28 ივნისიდან 2024 წლის 7 აგვისტოს ჩათვლით**.

ბ) I ლიგა - **2024 წლის 28 ივნისიდან 2024 წლის 14 აგვისტოს ჩათვლით**.

გ) რეგიონალური(II) ლიგა - **2024 წლის 28 ივნისიდან 2024 წლის 27 აგვისტოს ჩათვლით**.

დ) ჭაბუკთა „ა“ და „ბ“ ლიგები - **2024 წლის 8 აგვისტოდან 2024 წლის 8 სექტემბრის ჩათვლით**.

3.5 საერთაშორისო სატრანსფერო პერიოდში შესაძლებელია სხვა მსოფლიო რაგბის წევრი კავშირ(ებ)იდან მოთამაშ(ეებ)ის რეგისრტაცია სრკ-ში.

3.6 საერთაშორისო სატრანსფერო პერიოდი (მხოლოდ საერთაშორისო ტრანსფერებისთვის) განისაზღვროს **2024 წლის 28 ივნისიდან 2025 წლის 31 იანვრის ჩათვლით.**

3.7 სრკ-ს წევრი სუბიექტ(ებ)იდან მოთამაში(ეებ)ის სხვა მსოფლიო რაგბის წევრ კავშირში ან/და მის სუბიექტ(ებ)ში გადასვლის ვადა (საერთაშორისო ტრანსფერი) არ არის შეზღუდული.

მუხლი. 4 მოთამაშის რეგისტრაცია

4.1. სრკ-ს იურისდიქციის ქვეშ მყოფ წევრ სუბიექტ(ებ)სთვის, სრკ-ს მიერ გამართულ ყველა დონის შეჯიბრებებში (გარდა საფესტივალო ასაკის მოთამაშეებისა, რომელიც რეგულირდება ცალკე დებულებით) მონაწილეობის უფლების მისაღებად სავალდებულოა მოთამაშეთა რეგისტრაცია.

4.2. სრკ-ს მიერ ორგანიზებულ ყველა დონის შეჯიბრებებში სრკ-ს წევრი სუბიექტ(ებ)ი წარმოდგენილი უნდა იყოს მხოლოდ იმ მოთამაშეებით, რომელთაც გააჩნიათ **აქტიური რეგისტაცია** სრკ-ში.

4.2.[1] სრკ-ს მიერ ორგანიზებულ 2024-2025 წლის საშეჯიბრო სეზონში, სრკ-ს წევრ სუბიექტში რეგისტრირებული მოთამაშის საერთაშორისო ტრანსფერის (სხვა ქვეყნის კავშირის წევრ სუბიექტში გადასვლა) შემთხვევაში, მოთამაშეს უფლება ეძლევა საერთაშორისო სატრანსფერო ვადაში დაბრუნდეს მხოლოდ იმ სრკ-ს წევრ სუბიექტში, რომელშიც იყო რეგისტრირებული სრკ-ს მიერ ორგანიზებულ 2024-2025 წლის საშეჯიბრო სეზონში.

4.3. სრკ-ში მოთამაშის რეგისტრაციის ვადა შეადგენს სრკ-ს წევრი სუბიექტის მიერ რეგისტრაციისთვის აუცილებელი დოკუმენტაციის წარდგენის თარიღიდან 10 (ათი) კალენდარულ დღეს. აღნიშულ ვადაში მარეგისტრირებელი ანიჭებს მოთამაშე(ებ)ს აქტიური რეგისტრაციის სტატუსს ან რომელიმე დოკუმენტის დახარვეზების შემთხვევაში სრკ-ს წევრ სუბიექტს აძლევს დამატებით ვადას 3 (სამი) სამუშაო დღეს ხარვეზის გამოსასწორებლად. აღნიშნულ ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ მარეგისტრირებელი იღებს გადაწყვეტილებას არ დაარეგისტრიროს ასეთი მოთამაშე.

4.4. სრკ-ში მოთამაშის აქტიური რეგისტრაცია ავტომატურად წყდება სათამაშო სეზონის დამთავრებისთანავე, სრკ-ს წევრი სუბიექტის მომართვის საფუძველზე ან/და მოთამაშის საერთაშორისო ტრანსფერის შემთხვევაში.

4.5. სრკ-ს წევრმა სუბიექტმა მოთამაშის აქტიური რეგისტრაციისათვის საჭიროა წარადგინოს სრკ-ს შესაბამის სამსახურში:

ა) სრკ-ს მიერ დამტკიცებული მოთამაშის **რეგისტრაციის ფორმა**;

ბ) სრკ-ს ან მსოფლიო რაგბის მიერ დამტკიცებული განთავისუფლების ფორმა (შიდა გადაადგილებისას სრკ-ს მიერ დამტკიცებული **განთავისუფლების ცნობა**, ხოლო საერთაშორისო ტრანსფერის შემთხვევაში მსოფლიო რაგბის მიერ დამტკიცებული განთავისუფლების ცნობა (**WR Clearance form**).

გ) სრკ-ს მიერ დამტკიცებული **მოთამაშის სრკ-ს წევრებს შორის ტრანსფერის ფორმა** (სრკ-ს წევრ სუბიექტებს შორის გადაადგილებისას);

დ) სრკ-ს მიერ დამტკიცებული **მოთამაშის სრკ-ს წევრებს შორის განათხოვრების ფორმა** (იმ შემთხვევაში თუ, მოთამაშე განათხოვრების წესით ტოვებს სრკ-ს წევრ სუბიექტს და გადადის სრკ-ს წევრს სხვა სუბიექტში)

ე) სრკ-ს წევრს სუბიექტს და მოთამაშეს შორის გაფორმებული (სრკ-ს მიერ დამტკიცებული ფორმით) კონტრაქტი; (**პროფესიონალი/მოყვარული**);

ვ) მოთამაშის მოქმედი კონტრაქტის გამოსყიდვის შემთხვევაში, შესაბამისი მხარეების მიერ ხელმოწერილი შეთანხმება.

მოთამაშის გამონაკლისის წესით რეგისტრაცია სრკ-ში

4.6. სრკ-ს წევრ სუბიექტს შეუძლია მოითხოვოს მის რიგებში მოთამაშის აქტიური რეგისტრაცია არასატრანსფერო პერიოდში თუ:

4.6.1. (პროფესიონალ) მოთამაშეს მინიმუმ წინა *(სრკ-ს მიერ ორგანიზებული შეჯიბრებები)* საშეჯიბრო სეზონში არ ქონდა აქტიური რეგისტრაცია სრკ-ს წევრ სუბიექტში, ამ შემთხვევაში სრკ-ს წევრი სუბიექტი ვალდებულია წარმოადგინოს აქტიური რეგისტრაციისთვის საჭირო ყველა დოკუმენტაცია.

4.6.1[1] მოყვარული მოთამაშე არ არის რეგისტრირებული არცერთ სრკ-ს წევრ სუბიექტში მიმდინარე სათამაშო სეზონში. აღნიშნული გამონაკლისის წესით მოყვარული მოთამაშის რეგისტრაცია შესაძლებელია 2025 წლის 31 იანვრით ჩათვლით.

4.6.2. მოთამაშეს წინა *(სრკ-ს მიერ ორგანიზებული შეჯიბრებები)* საშეჯიბრო სეზონში ქონდა აქტიური რეგისტრაცია კონკრეტულ სრკ-ს წევრ სუბიექტში და სურვილი აქვს იმავე სრკ-ს წევრ სუბიექტში დარეგისტრირდეს მიმდინარე სეზონზე.

4.6.3. მოთამაშემ წინა საშეჯიბრო სეზონში მიღებული ტრავმის რეაბილიტაციის პერიოდის გამო ვერ შეძლო სრკ-ს წევრ სუბიექტის საშეჯიბრო განაცხადში მოხვედრა.*(მიმართვას თან უნდა ახლდეს შესაბამისი დაწესებულების მიერ გაცემული სამედიცინო ცნობა, სრკ-ს უფლება აქვს მოსთხოვოს ტრამვირებული მოთამაშ(ეებ)ის გადამოწმება მისთვის სასურველ სამედიცინო დაწესებულებაში).*

4.6.4. მიმდინარე სეზონზე მოთამაშეს გააჩნია აქტიური რეგისტრაცია სრკ-ს წევრ სხვა სუბიექტში, თუმცა არ მიუღია მონაწილეობა არცერთ თამაშში. ასეთ შემთხვევაში მოთამაშის სრკ-ს წევრი სუბიექტი ვალდებულია წარამოდგნიოს სრკ-ში მოთამაშის აქტიური რეგისტრაციისთვის საჭირო ყველა დოკუმენტაცია. (აღნიშნული გამონაკლისის წესით მოთამაშის რეგისტრაცია შესაძლებელია იმ ლიგის (რომელშიც რეგისტრირებული იყო მოთამაშე) პირველი წრის დამთავრებიდან 2025 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

4.6.5. მოყვარული მოთამაშე სასწავლებლის/სამსახურის გამო იცვლის საცხოვრებელ ადგილს, რაც დადასტურებული უნდა იყოს შესაბამისი მარწმუნებელი დოკუმენტაციით როგორიც შეიძლება იყოს - ცნობა სასწავლებიდან, მისამართი ცვლილება და სხვა. ამ შემთხვევაში სრკ-ს წევრი სუბიექტი ვალდებულია წარმოადგინოს ამ დებულებით განსაზღვრული მოთამაშის რეგისტრაციისთვის საჭირო დოკუმენტაცია.

4.7. მოთამაშეს არ შეიძლება ჰქონდეს აქტიური რეგისტრაცია ერთდროულად ერთზე მეტ სრკ-ს წევრ სუბიექტ(ებ)ში გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მას აქვს ორმაგი რეგისტრაციის უფლება (სრკ-ს მიერ მინიჭებული სტუდენტის ან სამხედრო მოსამსახურის სტატუსი).

მოთამაშის დროებითი რეგისტრაცია

4.8. მოთამაშის დროებითი რეგისტრაცია ნიშნავს სრკ-ს ეგიდით ორაგნიზებული შეჯიბრ(ებებ)ის მიმდინარეობისას აქტიური რეგისტრაციის მქონე პირველხაზელი ტრამვირებული მოთამაშის ჩანაცვლებას, როგორც სხვა სრკ-ს წევრს სუბიექტში აქტიური რეგისტრაციის მქონე მოთამაშით, ასევე არარეგისტრირებული მოთამაშით.

4.9. მოთამაშის დროებითი რეგისტრაცია შესაძლებელია თუ სრკ-ს წევრი სუბიექტი პირველხაზელი მოთამაშ(ეებ)ის ტრავმის გამო ვეღარ უზრუნველყოფს სრულყოფილად, სრკ-ს

მიერ დადგენილ წესს გუნდში პირველხაზელ მოთამაშეთა რაოდენობის შესახებ. (სათამაშო განაცხადში 6 პირველხაზელის წარდგენას).

მაგალითისთვის: თუ სრკ-ს წევრ სუბიექტს საშეჯიბრო განაცხადში *(ასევე სეზონის განმავლობაში დამატებული პირველხაზელი მოთამაშეების გათვალისწინებით)* **რეგისტრირებული** ყავს 10 (ათი) პირველ ხაზელი მოთამაშე და ტრამვ(ებ)ის გამო გამოაკლდება 5 (ხუთი) პირველ ხაზელი მოთამაშე სრკ-ს წევრ სუბიექტს უფლება აქვს **მოთამაშის დროებითი რეგისტრაციის წესით დაიმატოს 1 (ერთი) პირველ ხაზელი მოთამაშე.**

შენიშვნა: სრკ-ში პირველხაზელი მოთამაშ(ეებ)ისთვის სხვა მიზეზით რეგისტრაციის გაუქმება არ წარმოადგენს სრკ-ს წევრი სუბიექტისთვის საშეჯიბრო განაცხადში რეგისტრირებული პირველ ხაზელი მოთამაშეების შემცირების შედეგად ამ პუნქტით გათვალისწინებული მოთამაშეთა დროებითი რეგისტრაციის საფუძველს.

4.10. მოთამაშის დროებითი რეგისტრაციისთვის სრკ-ს წევრმა სუბიექტმა უნდა მიმართოს სრკ-ს, ტრამვირებული პირველხაზელი მოთამაშ(ეებ)ის *(მიმართვას თან უნდა ახლდეს შესაბამისი დაწესებულების მიერ გაცემული სამედიცინო ცნობა, სრკ-ს უფლება აქვს მოსთხოვოს ტრამვირებული მოთამაშ(ეებ)ის გადამოწმება მისთვის სასურველ სამედიცინო დაწესებულებაში)* აქტიური რეგისტრაციის გაუქმების მოთხოვნით მის სრულ რეაბილიტაციამდე და წარუდგინოს ახალი მოთამაშ(ეებ)ის დროებითი რეგისტრაციის მოთხოვნა ამ რეგულაციის მე-4 მუხლის 4.1- 4.5 პუქტებით გათვალისწინებული წესით.

4.11. ტრამვირებული მოთამაშ(ეებ)ის რეგისტრაციის აღდგენა (დაბრუნება) მიმდინარე სათამაშო სეზონზე შესაძლებელია მოთამაშ(ეები)ის სრული რეაბილიტაციის შემდეგ სრკ-ს წევრი სუბიექტის მიმართვის საფუძველზე, რა დროსაც იმ მოთამაშეს. რომელმაც ჩაანაცვლა ტრამვირებული მოთამაშე ავტომატურად უწყდება რეგისტრაცია და უფლება აქვს აღიდგინოს რეგისტრაცია მხოლოდ სრკ-ს წევრ იმ სუბიექტში, სადაც გააჩნდა აქტიური რეგისტრაცია მიმდინარე სათამაშო სეზონზე.

მუხლი 5. მოთამაშის განათხოვრება

5.1. მოთამაშის განათხოვრება არის ხელშეკრულების მქონე პროფესიონალი მოთამაშის, მოთამაშის მიმდინარე სრკ-ს წევრი სუბიექტიდან სხვა სრკ-ს წევრ სუბიექტში გადასვლა სრკ-ს მიერ დამტკიცებული მოთამაშის განათხოვრების სტანდარტული ფორმის მიხედვით იმ პირობით, რომ მოთამაშის მიმდინარე სრკ-ს წევრ სუბიექტს უნარჩუნდება მოთამაშის განათხოვრებამდე არსებული მოთამაშის წვრთნისა და განვითარებაში გაღებული ინვესტიციის კომპენსაციის მოთხოვნის უფლება.

5.2. მოთამაშის განათხოვრების სტანდარტულ ფორმას ხელს აწერს - მოთამაშე, მოთამაშის მიმდინარე სრკ-ს წევრი სუბიექტი და სრკ-ს წევრი სუბიექტი, რომელშიც ხდება მოთამაშის განათხოვრება.

5.3. მოთამაშის განათხოვრების შემთხვევაში, განათხოვრების ვადა არ უნდა აღემატებოდეს მოთამაშესა და მოთამაშის მიმდინარე სრკ-ს წევრ სუბიექტს შორის არსებული ხელშეკრულების ვადას.

5.4. მოთამაშის განათხოვრების მინიმალური ვადაა 1 (ერთი) სათამაშო სეზონი (გარდა ამ რეგულაციის 4.8 – 4.11 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში).

მუხლი 6. მოთამაშის განვითარებისათვის გაღებული ინვესტიციის კომპენსაცია ტრანსფერისას.

6.1 სრკ-ს წევრი სუბიექტის კონტრაქტიანი მოთამაშე ვერ გადავა სხვა სრკ-ს წევრ სუბიექტში კონტრაქტის მოქმედების პერიოდში, თუ სრკ-ს წევრი სუბიექტი, რომელთანაც მას აქვს მოქმედი კონტრაქტი, ასევე სრკ-ს წევრი სუბიექტი, რომელშიც სურს გადასვლა და თავად მოთამაშე არ არის თანახმა ასეთ გადაადგილებაზე. ნებისმიერი მატერიალური კომპენსაცია ასეთ დროს უნდა შეთანხმდეს ყველა შესაბამისი მხარის მიერ.

6.2 სრკ-ს წევრი სუბიექტის მიერ, მოთამაშის წრთნისა და განვითარებისათვის გაღებული ინვესტიცია, კომპენსაციას ექვემდებარება, როდესაც:

ა) კონტრაქტიანი (პროფესიონალი) მოთამაშე, რომლის კონტრაქტის მოქმედების ვადა დასრულდა, პირველად აფორმებს კონტრაქტს(პროფესიონალურ) სხვა სრკ-ს წევრ სუბიექტთან.

ბ) არასრულწლოვანი მოთამაშე (სრულწლოვანების თარიღამდე არაუმეტეს 6 თვის ასაკისა), პირველად აფორმებს კონტრაქტს(პროფესიონალურ) სრკ-ს წევრ სხვა სუბიექტთან.

გ) უკონტრაქტო(მოყვარული) მოთამაშე, რომლიც პირველად აფორმებს პროფესიონალურ კონტრაქტს სრკ-ს წევრ სხვა სუბიექტთან.

და **არ ექვემდებარება**:

დ) იმ შემთხვევაში, თუ მოყვარული მოთამაშე, რომელიც გადადის სრკ-ს წევრი სუბიექტიდან სრკ-ს სხვა წევრ სუბიექტში და ინარჩუნებს მოყვარული მოთამაშის სტატუსს.

6.3 დავებს იმასთან დაკავშირებით, თუ რომელი სრკ-ს წევრი სუბიექტი უნდა ჩაითვალოს მოთამაშის წვრთნისა და განვითარებისათვის კომპენსაციის მიღების უფლების მქონედ, განიხილავს სრკ-ს გამგეობა.

6.4 მოთამაშის წვრთნისა და განვითარებისთვის გადასახდელი კომპენსაციის თანხა გამოითვლება ქვემოთ მოყვანილი ფორმულა 1 -ის მიხედვით

ფორმულა 1

A = B x C

სადაც :

A = გადასახდელი კომპესაციის თანხა;

B = სტანდარტული წლიური განვითარების თანხა (6000 ლარი).

C = წლების რაოდენობას 17 დან 24-წლამდე ასაკს შორის, რაც მოთამაშემ გაატარა მშობლიური (პირველადი რეგისტრაციის) კავშირის წევრ სუბიექტში.

6.5 კალკულაციის საკვანძო კომპონენტს წარმოადგენს იმ წლების რაოდენობა, რომელიც მოთამაშემ გაატარა განვითარების პროგრამებში. პერიოდი, რომლის განმავლობაშიც სრკ-ს წევრი სუბიექტი ახორციელებს ინვესტიციას მოთამაშეში, წარმოადგენს 17 დან 24 წლამდე პერიოდს. შესაბამისად, განვითარების მაქსიმალური პერიოდი შეადგენს 7 წელს.

6.6 ნებისმიერმა შეუთანხმებლობამ კომპენსაციასთან დაკავშირებით შესაბამის მხარეებს შორის, არ უნდა იმოქმედოს მოთამაშის სათამაშო აქტივობაზე და არ უნდა შეაფერხოს განთავისუფლების ცნობის გაცემა ამ მოტივით;

6.7 მოთამაშის წვრთნისა და განვითარების კომპენსაცია, სრკ-ს წევრ სუბიექტს უნდა გადაუხადოს იმ სრკ-ს წევრმა სუბიექტმა რომელშიც მოთამაშე აპირებს გადასვლას.

მუხლი 7. მოთამაშეთა სტატუსის ცვლილება

7.1 მოთამაშე, რომელიც რეგისტრირებული იყო, როგორც კონტრაქტიანი (პროფესიონალი) მოთამაშე, ჩაითვლება ასეთად **12** თვის განმავლობაში იმ დღიდან, როდესაც მოთამაშემ რეგისტრირებულმა როგორც „კონტრაქტიანი (პროფესიონალი) მოთამაშე“, იასპარეზა მის ბოლო მატჩში.

7.2 ამ რეგულაციის **6.2 ა)** პუნქტის მიხედვით, თუკი მოთამაშე 3 წლის განმავლობაში იმ დღიდან, როდესაც მან იასპარეზა მის ბოლო მატჩში, როდესაც იყო რეგისტრირებული როგორც კონტრაქტიანი(პროფესიონალი) მოთამაშე, გააფორმებს კონტრაქტს(პროფესიონალურ) სხვა სრკ-ს წევრ სუბიექტთან, სრკ-ს წევრ სუბიექტს აქვს კომპენსაციის მოთხოვნის უფლება მისი წვრთნისა და განვითარებისათვის.

7.3 ამ რეგულაციის **6.2 ბ) და გ)** პუნქტის მიხედვით, თუკი 3 წლის განმავლობაში იმ დღიდან, როდესაც უკონტრაქტო/არასრულწლოვანი(სრულწლოვანების თარიღამდე არაუმეტეს 6 თვის ასაკისა) მოთამაშე გააფორმებს კონტრაქტს(პროფესიონალურ) სხვა სრკ-ს წევრ სუბიექტთან, სრკ-ს წევრ სუბიექტს წარმოეშვება კომპენსაციის მოთხოვნის უფლება მისი წვრთნისა და განვითარებისათვის.

7.4 სრკ-ს წევრი სუბიექტი, რომელიც აპირებს დაარეგისტრიროს მოთამაშე, ვალდებულია წინასწარ შეატყობინოს სრკ-ს თუ რა სტატუსით არეგისტრირებს ამ მოთამაშეს.

მუხლი 8. მიდგომები კონტრაქტიან მოთამაშეებთან და სხვა კონტრაქტიან პიროვნებებთან.

8.1. სრკ-ს იურისდიქციის ქვეშ მყოფმა არცერთმა პიროვნებამ არ უნდა დაიყოლიოს ან ეცადოს დაიყოლიოს მოქმედი კონტრაქტიანი (პროფესიონალი) მოთამაშე ან სხვა კონტრაქტიანი (პროფესიონალი) პიროვნება, რომელიც:

ა) მოქმედ საკონტრაქტო (პროფესიონალურ) ურთიერთობაშია სრკ-ს წევრ სუბიექტთან, დატოვოს თავისი სრკ-ს წევრი სუბიექტი, ამ სრკ-ს წევრი სუბიექტის წერილობით თანხმობამდე; ან

ბ) დაიყოლიოს ან ეცადოს დაიყოლიოს მოქმედი კონტრაქტიანი (პროფესიონალი) მოთამაშე ან სხვა კონტრაქტიანი (პროფესიონალი) პიროვნება, მათი მოქმედი კონტრაქტის ბოლო 6 თვის პერიოდში.

8.2. კონტრაქტიან (პროფესიონალ) მოთამაშეს ან სხვა კონტრაქტიან (პროფესიონალ) პიროვნებას, რომელსაც გააჩნია მოქმედი კონტრაქტი სრკ-ს წევრ სუბიექტთან, არ აქვს უფლება მიმართოს სხვა სრკ-ს წევრ სუბიექტს, ვიდრე:

ა) არ მიიღებს წერილობით თანხმობას სრკ-ს წევრ სუბიექტისგან, რომელთანაც გააჩნია მოქმედი წერილობითი ხელშეკრულება; ან
ბ) მიმართოს სხვა სრკ-ს წევრ სუბიექტს, მისი მოქმედი კონტრაქტის ბოლო 6 თვის პერიოდში ან მოქმედი კონტრაქტის „შეწყვეტის უფლების“ პუნქტის მოქმედების პერიოდში.

8.3. კავშირის წევრ სუბიექტს, რომელმაც გაწვრთნა და განავითარა მოთამაშე, უფლება აქვს (და არა ვალდებულება) მოითხოვოს წვრთნისა და განვითარებისთვის გაღებული ინვესტიციის კომპენსაცია, მხოლოდ:

8.3.1 როდესაც კონტრაქტიანი (პროფესიონალი) მოთამაშე პირველად აფორმებს წერილობით შეთანხმებას (კონტრაქტს) მშობლიური კავშირის (შიდა ტრანსფერისას მშობლიური კავშირის წევრი სუბიექტის) ფარგლებს გარეთ.

8.3.2 როდესაც უკონტრაქტო (მოყვარული) მოთამაშე პირველად აფორმებს წერილობით შეთანხმებას (კონტრაქტს) მშობლიური კავშირის (შიდა ტრანსფერისას მშობლიური კავშირის წევრი სუბიექტის) ფარგლებს გარეთ.

8.3.3 თუ კონტრაქტიანი (პროფესიონალი) მოთამაშე არ აფორმებს წერილობით შეთანხმებას (კონტრაქტს) დაუყოვნებლივ, მაგრამ კონტრაქტის გაფორმება ხდება 3 წლის განმავლობაში იმ მატჩის თარიღიდან, რომელშიც მან იასპარეზა კონტრაქტიანი (პროფესიონალი) მოთამაშის სტატუსით მშობლიურ კავშირში (შიდა ტრანსფერისას მშობლიური კავშირის წევრი სუბიექტის შემადგენლობაში). აღნიშნული პუნქტი მოქმედებს მხოლოდ მაშინ, როდესაც სახეზე გვაქვს ამ რეგულაციის 9.7 და/ან 9.9 პუნქტით გათვალისწინებული გარემოებები.

8.3.4 თუ უკონტრაქტო (მოყვარული) მოთამაშე არ აფორმებს წერილობით შეთანხმებას (კონტრაქტს) დაუყოვნებლივ, მაგრამ კონტრაქტის (პროფესიონალური) გაფორმება ხდება 3 წლის განმავლობაში მშობლიური კავშირის (შიდა ტრანსფერისას მშობლიური კავშირის წევრი სუბიექტის) დატოვებიდან. აღნიშნული პუნქტი მოქმედებს მხოლოდ მაშინ, როდესაც სახეზე გვაქვს ამ რეგულაციის 9.7 და/ან 9.9 პუნქტით გათვალისწინებული გარემოებები.

მუხლი 9. წვრთნისა და განვითარებისთვის გაღებული ინვესტიციის კომპენსაციის პრინციპები

9.1 კომპენსაციის მოთხოვნის საფუძველი არის მოთამაშის პირველი ტრანსფერი პირველადი რეგისტრაციის კავშირის წევრი სუბიექტიდან, სადაც მოთამაშე არის ან იყო პირველად რეგისტრირებული.

9.2 კომპენსაციის მოთხოვნის უფლება წარმოიშობა, როდესაც მოთამაშე პირველად გადადის მშობლიური კავშირის წევრ სუბიექტიდან და აფორმებს წერილობით შეთანხმებას (კონტრაქტს), დაუყოვნებლივ ან 3 წლის განმავლობაში, სხვა კავშირის წევრ სუბიექტთან. აღნიშნული პუნქტი მოქმედებს მხოლო მაშინ, როდესაც სახეზე გვაქვს ამ რეგულაციის 9.7 და/ან 9.9 პუნქტით გათვალისწინებული გარემოებები.

9.3 კომპენსაცია ემყარება სტანდარტული წლიური განვითარების ინვესტიციას და წარმოადგინს როგორც მოთამაშის წვრთისა და განვითარებისთვის გაღებულ თანხას.

9.4 მოთამაშის წვრთისა და განვითარებისთვის სტანდარტული წლიური (1 კალენდარული წელი) თანხა შეადგენს **6000** (ექვსი ათასი) ლარს.

9.5 მოთამაშის წვრთისა და განვითარებისთვის სტანდარტული წლიური თანხა **არ ექვემდებარება** კომპენსაციას თუ ერთ საშეჯიბრო სეზონში მოთამაშის აქტივობა (რაც გულისხმობს სათამაშო განაცხადის სასტარტო 15-ეულში მოხვედრას/შეცვლაზე შესვლას) არის მთელ საშეჯიბრო საზეონში გასამართი მატჩების რაოდენობის 20 %-ზე ნაკლები, გარდა იმ შემთხვევისა: (მოთამაშის კლუბში/გუნდში რეგისტრაციის განმავლობაში ბოლო საშეჯიბრო სეზონში აქტივობა 20%-ზე ნაკლები - კლუბს არ უნდა ჰქონდეს რაიმე კომპენსაციის მოთხოვნის უფლება)
ა) როდესაც მოთამაშეს ჰქონდა ტრამვა და კლუბმა (გუნდმა) სრულად აუნაზღაურა მოთამაშეს სამედიცინო ხარჯები.
ბ) ნაკრებში გაწვევის გამო, რაც გულისხმობს, როგორც სათამაშო, ასევე შეკრების პერიოდს.

9.6 **9.4** პუნქტით განსაზღვრული სტანდარტული ბოლო წლიური თანხა შესაძლოა გამრავლდეს (მოთამაშის შესაბამისი აქტიურობის მიხედვით) ბოლო წლის მოთამაშის ნაკრებში აქტიურობის კოეფიციენტზე (ეროვნულ ნაკრებებში) ან/და კლუბში (გუნდში) ბოლო სათამაშო სეზონის აქტიურობის კოეფიციენტზე.

- ✓ **ნაკრებში (ეროვნულ ნაკრებებში) /კლუბში (გუნდში) აქტიურობის კოეფიციენტის ცხრილი:**

ნაკრებში (რაგბი 7 - რაგბი 15) აქტიურობის კოეფიციენტი:

ნაკრები	U18	U20	ვაცთა/ქალთა ეროვნული გუნდ(ებ)ი
	1.25	1.50	2

- ✓ სხვადასხვა კატეგორიის ეროვნული ნაკრებში მოთამაშის აქტიურობის კოეფიციენტი დაანგარიშდება, მხოლოდ მოთამაშის ტრანსფერის განხორციელების კალენდარულ წელს არსებული სათამაშო აქტივობის მიხედვით.
- ✓ თუ ტრანსფერის განხორციელების კალენდარულს წელს, შესაბამისი ეროვნული ნაკრების მიერ არ იქნა ჩატარებული მატჩები, მოთამაშის ნაკრებში აქტივობა გამოითვლება გასული კალენდარული წლის ეროვნულ ნაკრებში აქტივობის მიხედვით.
- ✓ ეროვნულ ნაკრებში აქტივობა ნიშნავს - ეროვნული ნაკრების ოფიციალურ ან ტესტ მატჩის სათამაშო განაცხადში მოხვედრას.

გუნდში აქტიურობის კოეფიციენტი:

50%-დან -75%-მდე	75 %-100%
1.25	1.50

- ✓ გუნდში აქტიურობა გულისხმობს სრკ-ს ეგიდით ორგანიზებულ შეჯიბრებებში, რომელშიც მონაწილებს კლუბი (გუნდი), კლუბის (გუნდის) მიერ გამართულ მატჩებში მოთამაშის მონაწილება.
- ✓ მოთამაშის გუნდში აქტიურობის კოეფიციენტი დაანგარიშდება მხოლოდ მოთამაშის ტრანსფერის განხორციელების დროს არსებული საშეჯიბრო სეზონის სათამაშო აქტივობის მიხედვით.
- ✓ მატჩში მოთამაშის მონაწილება ნიშნავს მის სათამაშო განაცხადში მოხვედრას.
- *მაგალითისთვის თუ კლუბი (გუნდი) სეზონის მანძილზე გამართავს 18 მატჩს და 18 მატჩიდან მოთამაშე მონაწილებას მიიღებს 9 მატჩში - მოთამაშის გუნდში აქტიურობის კოეფიციენტი იქნება 9 X 100% : 18 = 50 %*

9.7 კომპენსაციას ექვემდებარება 17-დან - 23 წლის ჩათვლით ასაკის მოათამაშეები.

9.8 ამ რეგულაციის მიზნებისათვის მოთამაშის კონრეტული ასაკის შესრულება განისაზღვრება მისი პირადობის მოწმობაში/პასპორტში ასახული თარიღის მიხედვით.

9.9 იმ შემთხვევში, თუ მოთამაშეს შეუსრულდა 24 წელი კავშირის წევრ სუბიექტსა და მოთამაშეს შორის გაფორმებული კონტრაქტის მოქმედების ვადებში და ამ კონტრაქტის ვადა არ აღემატება მომდევნო საშეჯიბრო სეზონის სატრანსფერო პერიოდის დაწყების თარიღს, კავშირის წევრ სუბიექტს უფლება აქვს მოითხოვოს საკომპენსაციო თანხა ყველა იმ წესის გათვალისწინებით, რომელსაც არეგულირებს ეს რეგულაცია.

9.10 თუ მოთამაშის ტრანსფერი ხორციელდება მისი რეგისტრაციის არასრული წლის განმავლობაში, ესეთი წელიწადი გამოითვლება თვეების მიხედვით.

9.11 1 (ერთი) თვის გადასახდელი კომპენსაციის ოდენობა უდრის „წვრთნისა და განვითარების“ წლის გადასახდელი კომპენსაციის ოდენობის 1/12 ნაწილს.

9.12 კომპენსაციის გამოთვლა თვეების მიხედვით ხდება შემდეგი წესით:

ა) 1-დან 15 რიცხვის ჩათვლით დაბადებული მოთამაშეების შემთხვევაში ჩაითვლება მთლიანი თვე კომპენსაციის გამოთვლისას, ხოლო

ბ) 16 რიცხვიდან თვის ბოლო რიცხვის ჩათვლით დაბადებული მოთამაშეების შემთხევაში აღნიშნული თვე არ ჩაითვლება კომპენსაციის გამოთვლისას.

9.13 თუ კავშირის წევრი სუბიექტი თვლის, რომ უფლებამოსილია მოითხოვოს მოთამაშის წვრთნისა და განვითარებისთვის გაღებული ინვესტიციის კომპენსაცია, კავშირის წევრმა სუბიექტმა უნდა შეავსოს კავშირის შიდა ტრანსფერის *(მოთამაშეთა ტრანსფერისას კომპენსაციის მოთხოვნის)* ფორმა და გადაუგზავნოს კავშირის წევრ სუბიექტს, რომელშიც მოთამაშე აპირებს გადასვლას.

9.14 საკომპენსაციო თანხა ექვემდებარება გადახდას სატრანსფერო ფორმაში შევსებული თარიღიდან 30 (ოცდაათი) დღის ვადაში, თუ მხარეები დამატებით წერილობით არ შეთანხმდენენ სხვა ვადაზე.

9.15 **9.14** პუნქტით გათვალისწინებული საკომპენსაციო თანხის გადახდის ვადის დარღვევის შემთხვევაში შესაბამის მხარეს უფლება აქვს მიმართოს სრკ-ს სადიციპლინო სამსახურს.